საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 6234/1
05/05/2021

6234-1-2-202105051229

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ დაგეგმილი აქვს დაბა ფასანაურის წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის (მშენებლობა) და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

აღნიშნული საქმიანობის განხორციელების მიზნით, 2019 წლის 31 მაისის N 2-472 ბრძანების საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია სკოპინგის დასკვნა N43 დაბა ფასანაურის საკანალიზაციო სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაციის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს კანონი - „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის მიხედვით: „თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და გამომდინარე იქიდან, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ, გარკვეული მიზეზების გამო ვერ განხორციელდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარმოდგენა, დანართის სახით გიგზავნით „დაბა ფასანაურის წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია (მშენებლობის) და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის სკოპინგის ანგარიშს, ელექტრონულ ფაილს და სკოპინგის

საქართველო, ქ.თბილისი 0186
ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №5
ტელ: (032) 2 91 90 60
ს/კ: 412670097
e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge
5, Anna Politkovskaya St.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (032) 2 91 90 60

დასკვნას N43.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

დანართი: 1. სკოპინგის ანგარიში.
2. ელექტრონული ფაილი.
3. სკოპინგის დასკვნას N43.

პატივისცემით,

ირაკლი ნაფეტვარიძე

დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში